

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი _____ ოქტომბერი 2021 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება (ბინები), თანახმად დანართისა.
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების (ბინების) საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამი შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 12 ოქტომბრის №4943/02 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს ქ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნგრევის შედეგად ათობით ოჯახი დარჩა საცხოვრებელი ფართების გარეშე და საჭიროებენ შესაბამის დახმარებას. ამასთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებები (ბინები) საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. შემდგომში განკარგვის მიზნით, მათი პირდაპირი წესით სოციალური მიზნების განსახორციელებლად.

შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებების (საცხოვრებელი ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების (ბინების - თანახმად დანართისა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაცემა შემდგომი, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინების/ფართების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა 2021 წლის 8 ოქტომბერს ქ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნგრევის შედეგად დაზარალებული ოჯახების საკუთრებაში გადასაცემად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე

№	მისამართი	სართული	ბინის №	კვ.მ.	საკადასტრო კოდი	არსებული მდგომარეობა	შენიშვნა
1	ქიული შარტავას გამზირი №22	მე-3 (ბ)	75	39.3	05.27.05.017.01.01.075	გარემონტებული	
2	ქიული შარტავას გამზირი №22	მე-4 (ბ)	85	39.3	05.27.05.017.01.01.085	გარემონტებული	
3	ქიული შარტავას გამზირი №22	მე-5 (ბ)	95	39.3	05.27.05.017.01.01.095	გარემონტებული	
4	ქიული შარტავას გამზირი №22	მე-3	76	47	05.27.05.017.01.01.076	გარემონტებული	
5	ქიული შარტავას გამზირი №22	მე-4 (ა)	17	51.2	05.27.05.017.01.01.017	გარემონტებული	
6	ქიული შარტავას გამზირი №22	მე-2	74	52.1	05.27.05.017.01.01.074	გარემონტებული	
7	ქიული შარტავას გამზირი №22	მე-6	114	52.1	05.27.05.017.01.01.114	გარემონტებული	
8	ქიული შარტავას გამზირი №22	მე-5	104	52.2	05.27.05.017.01.01.104	გარემონტებული	
9	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-11	134	52.4	05.25.05.017.01.134	გარემონტებული	გარდა სამზარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
10	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-19	231	56.2	05.25.05.017.01.231	გარემონტებული	გარდა სამზარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
11	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-17	219	60	05.25.05.017.01.219	გარემონტებული	გარდა სამზარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
12	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-2	13	61	05.25.05.017.01.013	გარემონტებული	გარდა სამზარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
13	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-3	16	61	05.25.05.017.01.016	გარემონტებული	გარდა სამზარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
14	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-11	139	61.1	05.25.05.017.01.139	გარემონტებული	გარდა სამზარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
15	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-6	69	67.4	05.25.05.017.01.069	გარემონტებული	გარდა სამზარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
16	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-7	83	67.4	05.25.05.017.01.083	გარემონტებული	გარდა სამზარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა

[illegible]

№	მისამართი	სართული	ბინის №	კვ.მ.	საკადასტრო კოდი	არსებული მდგომარეობა	შენიშვნა
33	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-15	193	71	05.25.05.017.01.193	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
34	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-17	214	71	05.25.05.017.01.214	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
35	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-17	221	71	05.25.05.017.01.221	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
36	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-18	228	71	05.25.05.017.01.228	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
37	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-19	249	71	05.25.05.017.01.249	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
38	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-19	243	76.9	05.25.05.017.01.243	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
39	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-19	248	87.2	05.25.05.017.01.248	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
40	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-18	238	89	05.25.05.017.01.238	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
41	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-2	14	89.1	05.25.05.017.01.014	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
42	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-2	5	91	05.25.05.017.01.005	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
43	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-3	19	91.1	05.25.05.017.01.019	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
44	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-4	33	91.1	05.25.05.017.01.033	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
45	აღმაშენებლის ქუჩა №3	მე-5	47	91.1	05.25.05.017.01.047	გარემონტებული	გარდა სამშარეულოს, აბაზანის და ტუალეტის იატაკისა
46	ბაგრატიონის ქუჩა №113 ა	მე-4	13	47.41	05.26.04.009.02.01.013	გარემონტებული	
47	ბაგრატიონის ქუჩა №113 ა	მე-12	63	55.18	05.26.04.009.02.01.063	გარემონტებული	
48	ბაგრატიონის ქუჩა №113 ა	მე-3	12	92.19	05.26.04.009.02.01.012	გარემონტებული	

№	მისამართი	სართული	ბინის №	კვ.მ.	საკადასტრო კოდი	არსებული მდგომარეობა	შენიშვნა
49	ბაგრატიონის ქუჩა №113 ა	მე-4	18	92.19	05.26.04.009.02.01.018	გარემონტებული	
50	ბაგრატიონის ქუჩა №113 ა	მე-14	73	103.08	05.26.04.009.02.01.073	გარემონტებული	ტერასა - 49,84
51	ბაგრატიონის ქუჩა №113 ა	მე-14	74	106.6	05.26.04.009.02.01.074	გარემონტებული	ტერასა - 53,45
52	ფიროსმანის ქუჩა №1ა	მე-4	18	51.7	05.24.08.047.01.018	სარემონტო	
53	ფიროსმანის ქუჩა №1ა	მე-12	157	100	05.24.08.047.01.157	სარემონტო	
54	ფიროსმანის ქუჩა №1ა	მე-17	262	125.8	05.24.08.047.01.262	სარემონტო	დიდი ტერასით
55	ლერმონტოვის ქუჩა №103	მე-7	13ა	35.2	05.26.04.046.01.013	სარემონტო	
56	ლერმონტოვის ქუჩა №103	მე-14	82ა	37.5	05.26.04.046.01.082	სარემონტო	
57	შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №1	მე-12 (ა)	10	58	05.23.04.051.01.5023.835	სარემონტო	
58	შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №1	მე-2 (ბ)	13	58.3	05.23.04.051.01.5024.1061	სარემონტო	
59	შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №1	მე-4 (ა)	13	60.5	05.23.04.051.01.5023.796	სარემონტო	
60	შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №1	მე-5 (ა)	13	61	05.23.04.051.01.5023.792	სარემონტო	
61	შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №1	მე-8 (ბ)	13	62.5	05.23.04.051.01.5024.1060	სარემონტო	
62	შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №1	მე-2 (ბ)	18	65	05.23.04.051.01.5024.1082	სარემონტო	დიდი ბინის განაყოფი-საერთო შესასვლელით
63	შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №1	მე-8 (ბ)	10	80	05.23.04.051.01.5024.581	სარემონტო	დიდი ბინის განაყოფი-საერთო შესასვლელით
64	შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №1	მე-15 (ბ)	3	107.3	05.23.04.051.01.5024.1011	სარემონტო	
65	შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №1	მე-9 (ა)	3	110	05.23.04.051.01.5023.784	სარემონტო	



№ 4943/02

"12" 10 2021

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ლელა სურმანიძეს

ქალბატონო ლელა,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს ქ. ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნგრევის შედეგად ათობით ოჯახი დარჩა საცხოვრებელი ფართების გარეშე და საჭიროებენ შესაბამის დახმარებას.

ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონებები (ბინები) საკუთრებაში გადმოეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. შემდგომში, განკარგვის მიზნით, მათი პირდაპირი წესით სოციალური მიზნების განსახორციელებლად, თანახმად დანართისა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოსცეთ უძრავი ქონებები (ბინები).

დანართი: „ 2 “ ფურცელზე.

პატივისცემით,
თორნიკე რიჭვაძე